№ 39 პარასკევი, 19 თებერვალი 1910 წ. № 39

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

[illegible] საგაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

[illegible] რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".
ცალკე ნომერი უფასოდ ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

მაშო უაფლამის ასული წერეთლისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 19 ამა თებერვალს, დილისით, პეტრევისის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდა მისის დაუვიწყარ შვილის

კოლა მიხეილის ძის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. (1—ტარ.—1)

წარმოდგენა № 37. ქართული თეატრი წარმოდგენა № 37.
კვირას, 21 თებერვალს, 1910 წელს

ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ლევ ტოლსტოისა

შ ა ვ ი ბ ე რ ი

დრამა 4 მოქმედებად თარ. ლ. ალექსი-მესხიშვილისა, (ან. ჩეხოვის მოთხრობიდან გადმოკეთებული)

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, გ. იმხნელი, ი. ივანიძე, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე.

ამ წარმოდგენაზე კონტრამარკები არავის მიეცემა. ბილეთები ვლ. ალექსი-მესხიშვილის უშტემპელოთ ძალასა ჰკარგავენ.

ადგილების ფასები საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

პარასკევს, 26 თებერვალს, ბენეფისი კ. მესხისა. წარმოდგენილი იქნება „ხალხის ხიკეთე" და „სიკვდილი ნაპოლეონისა". მზადდება: „დღენი ჩვენის ცხოვრებისა".

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ქართველ სტუდენტობის საყურადღებოდ

პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებული

ქართული სამეცნიერო წრე შეუდგა ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად ანკეტის მოხდენას

ამ აზრით წრემ დაბეჭდა საგანგებო საანკეტო ფურცელი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ანკეტა. ეხლა საჭიროა ამ ფურცლის დარიგება. ამისათვის წრე უმორჩილესად სთხოვს ყველა ქალაქის (როგორც რუსეთში ისე საზღვარ-გარეთ) ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციებს (სათვისტომოებს, სამეცნიერო წრეებს და სხვ...), ან თუ ასეთები არ არსებობენ, იმ შემთხვევაში კერძო პირებს, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ ცნობები, თუ, დაახლოვებით მაინც, რამდენი ქართველი (განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და სხვ.) სწავლობს ამა თუ იმ ქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, უნივერსიტეტში, სხვა და სხვა ინსტიტუტებში, უმაღლეს კურსებზე, ლიცეიში, სხვა და სხვა აკადემიებში და სხ.), და თავისი ადრესი.

ამ ცნობების მიხედვით წრე დაჰგზავნის საანკეტო ფურცლებს, საც რამდენი იქნება საჭირო. დაწერის შემდეგ ფურცლები ისევ წრეს უნდა დაუბრუნდეს (სასურველია არა უგვიანეს ამა წლის მაისის თვისა).

ადრესი: С-петербургъ. Университетъ Коллегія Имп. АЛ. II. I. Кипшидзе. (4—1)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

ე. მ. ა. ბაქრაძე

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(10—5) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—9)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—113)

ექიმი მ. დ. ბეთანოვი ქუთაისში, მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—21)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—120)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—370)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—275)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—62

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—20)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—25)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გზგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, ილხელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—19

ექიმი გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—100)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—104)

ექიმი ბაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—6)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავა.ე., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოგუსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
ახვლედიანი —შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.
კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—8)

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი შ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, გაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—29)

ექიმი ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ზერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 20 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა პიერ, ზ. მ. საფაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

I

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქ. მ. კარაევისა.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

პატივცემულ საზოგადოებას ვთხოვთ წესიერება თვითონ დაიცვას. ადგილების ფასები 5 კ. 25 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადმინისტრატორი კოსინკოვი. (1—1)

ცინკოგრაფია ქართ. გამომცემელ ამხანაგობისა

ამზადებს ცინკოგრაფიულ კლიშეებს. კლიშეებს ცინკოგრაფია ამზადებს სუფთად და დროზე. ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა. (3—ნ.—1)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მკითხველებს ეხსომებათ საქართველოს ახალ ეგზარხოსის დეპეშა, იმერეთის სამღვდელოების მილოცვის საპასუხოდ გაგზავნილი. ეს დეპეშა ჩვენ გაზეთში სამშაბათს დაიბეჭდა (№ 36). ამ დეპეშის გამო „გოლოს კავკაზა"-ს გუშინდელ ნომერში მეთაურია მოთავსებული. გაზეთი სიხარულით ეგებება ამ დეპეშას და აღტაცებით აღნიშნავს, რომ „საქართველოს ეკკლესია იყო და შემდეგშიაც უნდა დარჩეს განუყოფელი რუსეთის ეკლესიისაგან, ამ უკანასკნელის მონა-მორჩილი"... გაზეთის აზრით, საქართველოს ეკლესიის საქმეები დაქვეითდა მას შემდეგ, რაც ქართველმა სამღვდელოებამ ავტოკეფალიაზე დაიწყო ლაპარაკი...

გაზეთი ასე ათავებს წერილს:

„სიხარულით აღვნიშნავთ ამას (ესე იგი, საქართველოს ეგზარხოსის სიტყვებს, რომ იგი, წინააღმდეგია ხელი შეუწყოს „რაღაც კანონიერ" უფლების აღდგენას) და გვრწამს, რომ უწმიდესს სინოდის წევრის ამ პასუხში გამოხატულია თვით სინოდის აზრი და შეხედულება"...

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**ბიუჯეტი.**

17 თებერვლის სხდომამ განაგრძო სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

**ეპისკ. ევლოგიმ** ამ სხდომაზე დაამთავრა სიტყვა. სხვათა შორის ეპისკოპოსმა განაცხადა: თქვენ გინდათ, ეკლესია დაიმორჩილოთ. ბევრის იდეალი საფრანგეთის რევოლიუციაა. ამათ უნდათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელთ ჩაიგდონ და მთელ საეკლესიო ქონებას ექსპროპრიაცია უყონო.

**ობერ-პროკურორმა** განაცხადა, რომ სინოდი ბევრს მუშაობს და უყურადღებოდ არა სტოვებს სათათბიროს სურვილებსაო. ობერ-პროკურორის სიტყვით, სასულიერო უწყება ბევრ კანონ-პროექტს ადგენს, რომელთა წყალობითაც საეკლესიო საქმეები წარმატების გზას დაადგება, მაგრამ ყველაფერი თან და თან უნდა გაკეთდესო.

**სურკოვმა** (სოც-დემოკრატი) სთქვა: ს.-დემოკრატები მომხრენი არიან ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებისა. მათის აზრით, სინოდისთვის გადადებული ფული ხმარდება მუქთამჭამლებს (თავმჯდომარემ შენიშვნა გაუკეთა). თეთრ სამღვდელოების გარდა, ხალხს კისერზე აზის 64,240 ბერი, ეს შავ კალიათა ჯარი. (ხმაურობა. თავმჯდომარემ შენიშვნა გაუკეთა) სასულიერო უწყებას 40 მილიონი მანეთი ხმარდება. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ მთავრობა და ეკლესია კარგ განწყობილებაში იქნებიან. ასეთი კავშირი სასარგებლოა მთავრობისა, შავრაზმელ სამღვდელოებასა და ბიუროკრატიისთვის, ხოლო საზარალო კულტურულ ძალთა განვითარებისთვის. უნდა ვებრძოლოთ შავ კლერიკალიზმს. სამღვდელოება იქამდისაც-კი მივიდა, რომ სიკვდილით დასჯას იცავსო. ორატორმა წაიკითხა ს.-დემ—ს ფორმულა, რომლითაც უარ-ყოფილია სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა.

**ეპისკ. ევლოგიმ** ეკლესიის უფლებებზე ილაპარაკა. სცდილობენ ეკლესია სახელმწიფოს დაუქვემდებარონო. ეკლესიის ყველა ჩაკლს გაასწორებს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება. ვითხოვთ, რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება მანამდე-კი ხელი აიღეთ აქ გამოთქმულ სურვილებზეო.

**კარაულოვი** (კადეტი). ორატორმა მრავალის ისტორიულ საბუთებით დაამტკიცა, რომ რუსეთში ეკლესია დამორჩილებული ჰყავს სახელმწოს. ეკლესიის საქმეებს განაგებს ობერ-პროკურორი, ხოლო ადგილობრივ—კონსისტორიის მდივნები, რის გამოც ეკლესია სახელმწიფო კანცელარიად გადაიქცა. 6 წლის წინად მოისურვეს კრების მოწვევა, მაგრამ ეს სურვილიც ჩაჰქრა და შესაფერი კანონ-პროექტები უკანვე წაიღეს. ყველაზე მეტ ტანჯვაშია ეხლა სოფლის სამღვდელოება.

**კრუპენსკი** (ნაციონალისტი) შეეხო იმ თანხებს, რომელსაც სინოდი იღებს ბესარაბიის მამულებიდან. ორატორის სიტყვით, თანხები შემომწირველთა სურვილისამებრ არ იხარჯება. შემდეგისთვის უნდა მოისპოს ესაო.

**გრაფმა უვაროვმა** საეკკლესიო კანონებით დაამტკიცა, რომ სათათბიროს სურვილი საეკლესიო ქონების კანტროლის შესახებ არაფერს საწინააღმდეგოს არ შეიცავს. ორატორმა საეკლესიო კრებაზედაც ილაპარაკა და სცნო მისი დიდი საჭიროება.

შემდეგ ულაპარაკნია კადეტების ლიდერს **მილიუკოვს**, მაგრამ დეპეშა ისე ცუდად ყოფილა გადმოცემული, რომ დეპეშათა სააგენტოს მოუთხოვნია მისი განმეორება.

სათათბირომ უარ-ჰყო დემოკრატების ფორმულა და მიიღო საბიუჯეტო კომისიის და კრუპენსკის წინადადებანი.

**შეკითხვები.**

სათათბირომ მოისმინა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა. იგი შეეხება ეგრედ წოდებულ „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის" საქმის გარჩევის დროს ჩადენილ უკანონობას. კამათი იმაზე, თუ რამდენად სასწრაფოა შეკითხვა, მეორე დღისთვის გადაიდო. საღამოს სხდომაზე სათათბირომ განაგრძო კამათი ორ წინანდელ შეკითხვის შესახებ—ნაოსნობის მოწყობა ოხოტსკისა და ბერინგის ზღვებში და იპოლის უკანონობა. პირველი შეკითხვა სათათბირომ კომისიას გადასცა, მეორის შესახებ კამათი ამ სხდომაზე არ გათავებულა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვაშინგტონი.** კასკადის მთებში ზვავის ქვეშ მოჰყვა სამგზავრო მატარებელი. გადაარჩინეს 20 კაცი. ზვავის ქვეშიდან ამოიღეს 25 კაცის გვამი. ველარ იპოვეს 25 კაცი.

**ბერლინი.** პოლიციამ ნება არ დართო სოციალისტებს კრება გაემართათ. კრებას უნდა განეხილა მთავრობის საარჩევნო კანონი და პროტესტი განეცხადებინა.

**გალლუენი.** გაფიცულ ფეიქრებს შეტაკება მოუვიდათ ჟანდარმებთან. დასჭრეს ჟანდარმი. ფეიქრები ძალით შევიდნენ ქარხანაში და სულ ერთიანად დაამტვრიეს მაშინები. გამოიწვიეს ჯარი.

**ანჟერი.** ნაპირებიდან გადმოვიდა მდინარე ოტიონი. წყალმა სულ ერთიანად წალეკა რამდენიმე სოფელი. მცხოვრებლების გადასარჩენად ჯარი მუშაობს.

**დარჯილინგი.** დიდის ამალით ჩამოვიდა დალაი-ლამა.

**პანამა.** გარდაიცვალა რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი ობალდია. მის მოადგილედ აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტი მენდოზა.

**პეკინი.** რუსეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რუსეთი გულ-ხელ დაკრეფილი ვერ უყურებს დალაი ლამის გადაყენებას, რადგან დალაი-ლამა რუსეთის ქვეშევრდომ ბუდისტების სულიერ მამა-მთავრადაც ითვლებაო. ჩინეთის მინისტრებმა უპასუხეს, რომ დალაი-ლამას გადაყენება გავლენას არ იქონიებს ტიბეტის შინაურ მართვა-გამგეობასა და ბუდისტების სარწმუნოებაზედო.

**ხარბინი.** პეკინიდან იუწყებიან, რომ სასალდათე ჩინელების აღწერამ მცხოვრებლებში დიდი აღელვება გამოიწვიაო. სანამ პეკინში საბოლოოდ გადასწყდებოდეს გუბერნატორმა ნება დართო ვაჭრებს პროვინციებიდან ხორბალი მოიტანონ და გაჰყიდონ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა ბინერტმა განაცხადა, მთავრობა ყოველთვის სცდილობდა და სცდილობს რომ საკანონმდებლო გზით ავსტრიაში მცხოვრები ერები ერთმანეთს დაუახლოვოს და მოსპოს მათში ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობაო. მთავრობა აასრულებს ამა თუ იმ ერის კანონიერ მოთხოვნას და მხედველობაში იქონიებს პარტიების მიერ წამოყენებულ ზომებს ეროვნულ შუღლის მოსასპობადო.

**სტამბოლი.** ოსმალეთ-ბოლგარიის სამხედრო კომისია იკვლევს საზღვარზედ მომხდარ ინციდენტებს. იმედი არის, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება, თუ საზღვარზედ ხელმეორედ შეტაკება არ მოხდა. ოსმალეთის მთავრობამ ბოლგარიის სთოხვა, მიიღოს ზომები, რომ საზღვარზედ თავს არ იყრიდნენ შეიარაღებული მცხოვრებლები, რომლებიც მხარს უჭერენ ბოლგარიის მოსაზღვრე ჯარს.

**სალონიკი.** დაითხოვეს ის 6,000 სალდათი, რომელთაც ბრალდებოდათ სტამბოლის არეულობაში მონაწილეობის მიღება. ყველა ესენი სასამართლოს გადაწყვეტილობით მაკედონიაში სამუშაოდ გაიგზავნენ. ჰფიქრობენ, რომ სხვებსაც განთავისუფლებენ.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. ფინანსთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა, ეს

ორი წლიწადია, რაც შემოსავალი გასავალს აჭარბებს და იმედი გვაქვს, რომ მომავალ წლებშიაც ასე იქნება. ამიტომ მთავრობა ახალ კრედიტებს აღარ მოითხოვს და ხარჯებს ისე გაისტუმრებსო. მთავრობას 1911 წლის ივლისში გასასტუმრებელი აქვს რკინის გზის 3,65 პროცენტიანი ობლიგაციები, რისთვისაც საჭიროა 330 მილიონი ლირა, მაგრამ ამ ხარჯს შინაური სესხით გავისტუმრებთო.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** სამინისტროს კრიზისი ჯერაც არ გათავებულა. კავკასიელი ფიდაები იარაღით ხელში მეჯლისში შეცვივდნენ და ჯამაგირი მოითხოვეს.

ასტარ-არდებილის გზა-ტკეცილი იჯარით აიღო რუსეთის ქვეშევრდომმა გაბიბულაევმა.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ სათათბიროში შეიტანა შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე. შეკითხვაში ნათქვამია: 1) რა უფლებით გამოსცა მინისტრმა 1907 წლის 22 მაისის ცირკულიარი და საკანონმდებლო დაწესებულებების დაუკითხავად გააფართოვა ებრაელების უფლება: 2) თუ ცირკულიარის გამოცემა განსაკუთრებულმა გარემოებამ გამოიწვია და დროებით ხასიათი ჰქონდა, რატომ აქნობამდის არ მოსპეს ცირკულიარი; 3) რატომ მინისტრი საჭირო ზომებს არ იღებს, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სასტიკი თვალყური ადევნონ ებრაელებს და ნება არ მისცენ ისეთ ადგილებში იცხოვრონ, სადაც მათ კანონით უფლება არა აქვთ ცხოვრებისა,

**ჰელსინგფორსი.** უმაღლესად ნაბრძანებია, რომ სეიმის გახსნისა და დახურვის დროს სეიმის წესდების თანახმად თავმჯდომარეები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ უქვეშევრდომილეს გრძნობების გამოცხადებით. სენატმა დაადგინა გამოაქვეყნოს უმაღლესი ბრძანება. ამ აზრს არ დაეთანხმნენ მომხსენებელი და პროკურორის თანამდებობის ალმასრულებელი.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის თავმჯდომარედ აირჩიეს სვინხუდი, მალადოკინი, მის ამხანაგებად: ტანნერი, სოციალ-დემოკრატი და სედერსოლმი, შვეციის პარტიის წევრი. სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობა არ მიიღეს თავმჯდომარის და მისი მეორე ამხანაგის არჩევნებში.

**პეტერბურგი.** ტყუილია „ბირჟ. ვედ."-ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ რუსეთს ბოლგარიისთვის სამი სამხედრო გემი ეჩუქებინოს. სამხედრო გემების გაყიდვასა, ან ჩუქებაზედ ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

**პეტერბურგი.** სასამართლო პალატამ გაარჩია ნაფიც-ვექილის ბარონის საქმე. ბრალდებოდა წიგნაკის „თავისუფლება", გამოცემა. სასამართლომ ბარონს 2 ნახ. წლით ციხე მიუსაჯა.

**ოდესსა.** რომანოვკაში ზეინკალმა სლავინსკიმ გაჩხრეკის დროს წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. პოლიციელებმა მოჰკლეს სლავინსკი. სლავინსკის ჯიბეში იპოვეს წერილები, საიდანაც სჩანს, რომ სლავინსკი ანარხისტ-კომუნისტებს ეკუთვნოდა. დააპატიმრეს სახლის პატრონი და მისი შვილები.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **შეკითხვა.** სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ სათათბიროში შეიტანა შემდეგი შეკითხვა: 1. იცის თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომ კავკასიის სასწავლებლებში საზოგადოებისა და შრომის მოყვარე ახალგაზრდობისთვის აუტანელი მდგომარეობა გამეფდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ნორმალური სწავლა და ამას გარდა უზრუნველ-ყოფილი არ არის ვისიმე სიცოცხლე კავკასიაში მომქმედ რევოლიუციონურ ელემენტებისაგან. 2. იცის თუ არა პრემიერ-მინისტრმა, რომ ზოგიერთი მასწავლებლები ხელს უწყობდნენ მოწაფეებს და აქეზებდნენ მონაწილეობა მიეღოთ რევოლიუციაში და თუ იცის, ყველა ისხლის სამართალში მისცეს თუ არაო.

✦ **სამშობლოში დაბრუნება.** ნამესტნიკის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწემ ნება დართო სამშობლოში დაბრუნდნენ შემდეგ გადასახლებულებს: ნიკოლოზ იმერლიშვილს, გრიგორი და ზაქარია ქებაძეებს, დათა ნადირაშვილს, პარმენ ცხოდაძეს, მიხეილ ზეკალაშვილს, რევაზ თედიაშვილს, შაქრო კახურაშვილს, დავით ციციშვილს, პავლე გარსამიას, კონდრატი საჯაიას, ალექსანდრე ჟოლიძეს, ალექსანდრე (იგივე სანდრო) ჟოლიძეს, კონსტანტინე ჭაჭანიძეს, კაცია ჭაჭეტაძეს და დიონისე კუპრაშვილს. ყველა ესენი ადმინისტრაციის განკარგულებით გადასახლებულნი იყვნენ ვიატკის, არხანგელის, ორენბურგის, პერმის და ტობოლის გუბერნიებში.

✦ **ვერის დაღმართზე მომხდარი უბედურება.** ხმა დადიოდა, სრულიად მოსპეს ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების საქმის გამოძიება, რადგან დამნაშავედ არავის სცნობენო. „გოლ. კავკ." სიტყვით, ეს ხმა ტყუილია, გამომძიებელს რუსანოვს ჯერ არ დაუმთავრებია გამოძიებაო.

✦ **ბალახის თესვა.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებას, 17 თებერვალს, სხვათა შორის, წარედგინა მოხსენება ამიერ-კავკასიაში ბალახის თესვის საქმის მოწყობ-რიგებას შესახებ. დღემდე ჩვენში ბალახის მოყვანას ძალიან ნაკლებად მისდევენ და ამის შედეგია, რომ ხალხს უსაკვებოდ ეღუპება ზამთარში საქონელი. ამ საქმის მოწყობას და ხალხისთვის გაცნობას ჯერ-ჯერობით, საბჭოს აზრით, დასჭირდება 3600 მან. კრებამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, რომ გადაიდოს ყოველ წლობით 3600 მან. ამ საქმისათვის.

✦ **ბინა ძაღლებისთვის.** გუშინ, 18 თებერვალს, საგანგებო კომისიამ პოლიცმეისტრის თანაშემწის სტროევთან ერთად დაათვალიერა პოლიციელ ძაღლების სადგომი, რომელიც მოთავსებულია მთავარ საპოლიციო სამმართველოს შენობაში.

✦ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** 17 თებერვალს მოხდა კრება კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა. თუმცა საზოგადოებას ამ დღეს განსახილველი ჰქონდა ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ 15 კაცამდე ძლივს გამოცხადდა. წინა სხდომების ოქმების დამტკიცების შემდეგ შეუდგნენ ხარჯთ-აღრიცხვას. პირველად კრებამ განიხილა საბაღოსნო სკოლის აღრიცხვა. წელს საბაღოსნო სკოლის შემოსავალი სხვა და სხვა წყაროდან ნავარაუდევია 18,591 მან. 50 კაპ. ხარჯიც ამდენი. საზოგადოების შემოსავალი კი სკოლიანად ნავარაუდევია 45,112 მან. 20 კაპ. ხარჯიც ამდენი. აღრიცხვის ზოგიერთმა მუხლმა კამათი გამოიწვია, მაგრამ კრებას აღრიცხვაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია, ისე დაამტკიცა იგი. როდესაც გაზეთის გამოცემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ზოგმა წინად აღება შეიტანა შემწეობა მისცემოდა „მოსავალსა" და „გიუხატნესაც" კრებამ „მეურნეობა" გამოსთქვა, რომ უსახსრობისა გამო არ შეუძლიან დაეხმაროს ხსენებულ ქართულსა და სომხურ ჟურნალებს. კრებამ ზოგიერთ საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაასრულა სარევიზიო კომისიის წევრების არჩევით. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ს. ხუნდაძე, მიხ. ავ. ვერმიშევი და ა. ზ. თამამშევი.

✦ **ვერის სასაფლაო.** 17 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, საქართველოს ეგზარხოსმა ქალაქის თავის მოადგილის ხატისოვის, ქალაქის ინჟინერის კოგნოვიცკის და ბავშვთა მფარველ საზოგადოების წარმომადგენლების თანხლებით დაათვალიერა ვერის სასაფლაო. როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს, რომ ეს სასაფლაო ბაღის გასაშენებლად ქალაქს გადაეცეს.

✦ **ქუთაისის ქალაქის გამგეობის დადგენილების გაუქმება.** ამ რამდენიმე ხნის წინად ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეიძინოს ბეთანოვის ადგილი და იქ გამართოს სასწორი და ბაზარი. როგორც „კავკ." გადმოგვცემს, ნამესტნიკს პეტერბურგში თავის წარმომადგენლისთვის შეუტყობინებია, მინისტრთა საბჭოში შეიტანოს წინადადება, რომ ქუთაისის ქალაქის საბჭოს ეს დადგენილება გაუქმდეს. ნამესტნიკის აზრით, ამ დადგენილებით ქალაქის საბჭო მცხოვრებთა ინტერესებს არღვევს.

✦ **შუამდგომლობა.** შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, რომ ჭიათურაში ხაზინა გაიხსნას. საბჭო თვითონ კისრულობს ზოგიერთ ხარჯს, ვიდრე ხაზინის მოქმედება იქამდის არ გაფართოვდება, რომ თვითონ შესძლებს ხარჯის გასტუმრებას.

✦ **ცეცხლი.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: 17 თებერვალს ბაქოში ერთი სომხის სახლში გამოურკვეველ მიზეზებისა გამო აფეთქება მოხდა. მალე სახლი ცეცხლის ალში გაეხვია. ცეცხლის მქრობელმა რაზმა სახლიდან გამოიყვანა ქალი 8 ბავშვით. 7 ბავშვი ისეა დაშავებული, რომ მათი მორჩენა აღარ შეიძლება. ქალის ქმარი ძალიან არის დაშავებული.

✦ **ლოტო.** „ნოვაია რეჩი"-ს სიტყვით, პირველ მარტიდან ტფილისის ყველა კლუბში ლოტოს თამაშობას მოსპობენ.

✦ **ტიფი სატუსაღოში.** როგორც გვატყობინებენ, ზუგდიდის სატუსაღოში ტიფი მძვინვარებს თურმე. ავადმყოფები სხვაგან გადაუყვანიათ. უყურადღებობისათვის ციხის ადმინისტრაცია დაუთხოვნიათ.

✦ **რობაქიძის ლექცია ქუთაისში.** დღეს ქუთაისში, ქალაქის თეატრის სადგომში გრ. რობაქიძე ქართულად წაიკითხავს ლექციას „რელიგია მშვენიერებისა". ლექციაში კიტა აბაშიძეც იღებს მონაწილეობას.

✦ **ქურდები.** 9 თებერვალს ფოთიდან ბაქოში გაუგზავნიათ ერთი ვაგონი შაქარი—755 ფუთი. სამტრედიაში უცნობებს ვაგონზედ წაუშლიათ წარწერა „ბაქო" და ვაგონზე დაუწერიათ „ქუთაისი". ვაგონი ქუთაისში გაუგზავნიათ. ხუთი დღის შემდეგ ქუთაისის სადგურზედ მისულა მეეტლე, საბუთის ქაღალდები წარუდგენია და საქონელი მოუთხოვნია. კასირს ეჭვი შეჰპარვია და ჟანდარმისათვის შეუტყობინებია. ამასთან კასირი დეპეშით ფოთში შეეკითხებია, საქ. გაიგზავნა შაქარიო. ყველაფერი გამორკვეულა. მეეტლეს თან გაჰყოლია ჟანდარმი, რომ უცნობის ბინა გაეგო, მაგრამ მეეტლეს თვითონაც დანამდვილებით არა სცოდნია. ჟანდარმს მეეტლესთან ერთად მთელ დღეს უვლიათ ქუთაისში და ბოლოს უპოვიათ ბოროტ-გამზრახველი. ისინი დაუპატიმრებიათ. გამომდგარან რკინის გზის მოსამსახურენი. (ტ. ლ.)

✦ ამას წინად ტფ. ფრანგულ ენის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ, მეორე გიმნაზიის დირექტორმა გამგეობას სთხოვა დაეთმო სოლოლაკის სკოლის სადგომი საღამოობით ფრანგულ ენის შესწავლის მსურველთათვის. კომისიამ დაადგინა, უარი გამოეცხადოს საზოგადოებას, რადგანაც სახლის პატრონებთან დადებულ ხელშეკრულებით ქალაქს უფლება არა აქვს სხვა დაწესებულებებს დაუთმოს შენობა.

✦ 27 აპრილს კავკასიის სამთა-მადნო მადაროების სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტყიბულის ქვა-ნახშირის მადაროების იჯარით გასაცემად. მადაროები იჯარით 36 წლით გაიცემა.

✦ ტფ. ქალაქის სასკოლო კომისიამ განიხილა მოწერილობა სახალხო სკოლების დირექტორისა ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში ქალაქის ხარჯით მოსწავლე ქალების გაგზავნის შესახებ. ბათუმის სახელოსნო სასწავლებელთან დაარსებიათ საქსოვი განყოფილება. ასწავლიან მეაბრეშუმეობას, ძაფის ხვევას, დებვას, ქსოვას და ხალიჩების კეთებას. რადგან უფასოდ მოსწავლის შენახვა ბათუმში 150-180 მან. დაჯდება, დირექტორი სწერს, ქალაქის სასწავლებლებში სწავლა-დასრულებულნი გაგზავნეთ, რომ შეისწავლონ ცხოვრებაში გამოსადეგი ხელობაო. კომისიამ შეუძლებლად სცნო ამ წინადადე-

# ოსმალელი ქართველები

(დასასრული*)

ვინც საუკუნოებით შეეჩვია ამ ჩვეულებას დაუჯერა, რომ ასეა ღვთის მიერ ქვეყნის დაარსებიდან და ასე უნდა იყოს უკუნისამდე, იმას კიდევ არა უშავს-რა, რჯულის აღსრულებაში მაინც ჰპოვებს ნუგეშს და შეიძლება სხვა უკეთესს აღარ უთხოვდეს გული, მაგრამ წარმოიდგინე ქართველი ქალი, ქმრის პატრონი, შვილების დედა და ამნაირი სცენები: რო მოგვივა ვინმე, კარებს კი გავუღებთ და მერე კარებიდანვე პირი უნდა მივიბრუნოთ და წავიდეთ, დავიმალოთ. სუფრაზე რომ ვინმე შემოგვესწროს, ჩვენ უნდა სუფრიდან წამოვდგეთ და გავიქცეთ და ვეღარც გამოვჩნდებით, ვიდრე სტუმრები არ წავლენ. თუ კაცს მეგობრები ეწვივნენ, დედაკაცებმა სხვა ოთახში უნდა გარტანონ თავიანთ სადილი და ასე გაიუგემურონ ის დღე. თუ ბიძაშვილს გამოუჩნდით, შუბლშეკრულნი და პირგაუცინარნი უნდა ვისხდეთ, თორემ ქმარი გაგვიწყრება. ქალის ბედი კაცის ქეიფზეა დამოკიდებული. კაცი რომ ქალს ირთავს, სამჯერ ხელს გადაუსვამს მხარზე და აქედან მისი ცოლი ხდება. ასევე თუ გაგდება უნდა, სამჯერვე ხელს გადაუსვამს ჩუმათა და ეტყვის, ცოლობიდან გაგყარეო, და ქალი უნდა ადგეს, წავიდეს. ვუვლით, ვეფერებით, მუდამ იმას ვცდილობთ, რომ კაცს თავი შევაყვაროთ, ოინბაზობას ვხმარობთ, ყოველთვის რაცლაი უნდა მივუმატოთ, რომ ჩვენი ქმრებისაგან გვეშინიან, არ გაგვექცნენო.

ეხლა დავუპირდაპიროთ ეს ნალაპარაკევი იმ ხსოვნას. რომ ან დედა, ან დიდედა, ან ვინმე სხვა წინაპარი მზის ქვეშ ისევე თავისუფლად დაიარებოდა, როგორც მამაკაცი და თანატოლი ამხანაგი იყო ქმრისა, მორჩილი მისი თავისუფალ სინიდისითა და არა შიშითა და დამონებით; თუ თითონ აღარ ახსოვთ, ხომ გაუგონიათ და იციან, ხომ გებულობენ თანდათან, ხომ დღეს ამათი დები ამავე წესზე სცხოვრობენ საქართველოში და რაღა გასაკვირველი იქნება, თუ ერთარსიანობა ირღვევა და საშინელი ბრძოლა ჩნდება, ხელში ერთი აქვს მიჩეჩებული და ყურში ჩაწვეთილი, გული სხვაგან იწევს და სისხლზე მიდის, ვარდება ადამიანი ორ ცეცხლ შუა. ამნაირ მდგომარეობას ბევრი ადვილად ვერ იტანს, ცოლი ქმარს ედავება, უნდა მოიშოროს ადათი, რომელიც ძალად ხელის წავლებით სადღაც უკან ეწევა, მაგრამ ქმარი არ უთმობს და მშვიდობა ირღვევა, გული ბოროტდება, ქალი ქალურად ეძიებს მაგიერსა და ავდება, ქალი დიდ ჩხუბშია, ამბობს მისი მესაიდუმლე და მოწამე მ. ხანუმი.

რაკი შემჩნეულ იქნება ცხოვრების ყალბი მხარე და ბედის უკმაყოფილება იბადება, გამოჩნდებიან ისეთი პირნიც, უფრო მძლავრის გონებისა და გრძნობისანი, რომელთა სპეტაკი ბუნება იმ სიყალბეს ველარ შეეთვისება, სტოვებენ დაძველებულ ადათს და ახალ გზას ეძიებენ. აქ არის დიდი სიძნელე და სატანჯველი, რადგან ერთ კაცში ორნაირი გრძნობა იყრება და ერთმანეთს ებრძვის, მაგრამ თანაც ახლად გაღვიძებული პიროვნება მძლავრად კითხულობს: რათა ვარ ასე? ასე რათა ვართ ქალები? და რადგან მუსულმანობაში ყველაფერი სჯულის სახელით და სადიდებლად არის დადებული, ამიტომ ამ ფიქრის დენაში მ. ხანუმი უნდა მისულიყო იმ ნასკვთან. მართალია, ჩემი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, მას აქეთ სულ ას ორმოც და ათი წლიწადია, მაგრამ მე მუსულმანობაში დავიბადე და მუსულმანი მოვკვდები; მუსულმანობა მე ჩემი სულისთვის მინდა და მრწამს, რომ ამ რჯულითა ვცხონდები; ამიტომ მე ჩემს რჯულზე მტკიცედ ვიქნები, ასე უფრო ვემსახურები ხალხს ჩემი სინდისით, მაგრამ რაც კარგია და მოსაწონი ქრისტიანებში, იმასაც ვიღებ. ყველანი ღვთის გაჩენილები ვართ, ყველა რჯულში კაი კაცი და მაგალითი კაი კაცისაგან არის ასაღები. რაც ჩვენა გვსპობს, იგი უნდა მოვსპოთ. რჯული სისწორისთვის მინდა და არა შიშისთვის, არა იმისთვის, რომ მე ჩემს ძმებში მოვისპო და მოვიკვეთო. განათლებული ხოჯები გვჭირიან, რომ სწორე გზაზე დაგვაყენონ და წიგნი ჭეშმარიტად აგვიხსნან და მაშინ მივყვებით იმათ ჭკუას. ჩვენი ფეიჰამფერი (წინასწარმეტყველი) რათ მოინდომებდა, რომ ჩვენთვის წუთისოფელი გაემწარებინა; რასაც ჩვენში ვას ვამჩნევ, იგი მუსულმანობას როგორ ეკადრება; ჩვენი ტანჯვა და თქვენთან მორიდება უსწავლელთაგან წარმოსდგება, ისინი გვიშლიან, მაგრამ, ღმერთო, თუ ისიც რჯულშია... არა, არა მგონია!

მიღებულ ჩვეულებებში ყველაზე უფრო მეტად ემდარება მას პირ-ჩამოფარება და ამბობს, რომ ეს ჩვეულება არა თუ შეუფერებელია დროისა და დამამცირებელი, არამედ მავნებელიც. როცა თვალთ აბნელებს, არც გონება იქნება ნათელი და თუნდ ნასწავლიც იყოს, არ ეტყობა განათლება და ნასწავლობა; ვერც წინ წავლენ, თუ ქალთ ეს ჩვეულება არ მოაშორეს. ნამეტნავად ჩვენ, ქართველებს, ხომ ეს გვანსხვავებს და გვაშორებს. და ვისთან არ აშორებს! ქალები ჩადრიდან სისწორით ვერა სცნობენ ქვეყანას და მათ ვერ იცნობენ თვისნი შეხვედრაზე. გვერდზე გაგივლიან და ვერ გაიგებ, და არის შენი, დედა, თუ სხვა ვინმე. ნათესავი ნათესავს ვერ იცნობს, ვერ მიესალმება, ვერ მიუსიყვარულებს, როგორც უცნობმა, ისე უნდა გაიარონ, წავიდნენ. რაღა სიცოცხლეა! უსიამოვნება კი ბევრი ჩნდება. ასეთი ამბავიც მომხდარა: ერთი კაცი ურიგოდ წაელაპარაკა ერთ ქალს, იმისი დედა კი გამომდგარიყო; შვილმა ვეღარ გაუძლო სირცხვილსა და თავის ქვეყნიდან დაიკარგა, სხვაგან გადავარდა. ვინც ავ საქმეს არ იშლის, ჩადრი ვერ დაიფარავს და უფრო გამოჩნდება. რომ არ გამოჩნდეს კიდეც, შიგნით ხომ ტრიალებს უბედურება და ათასი ვაება. სულ ერთია, გინდ იცოდეს ქვეყანამ, გინდ არა. ჩვენ ყველანი ერთად მიგვათვალეს და ურიგო ხალხთან ვიტანჯებით. ურიგოდ გვრიცხავენ, ამაზე მეტად ჩვენი თავი ჯერ წარმოუდგენიათ. დედაშვილობისა და ძმობის აზრი არ არსებობს. თქვენი ჩვეულება მომწონს, ჩვენი სახით უნდა ვეჩვენებოდეთ ერთმანეთს, ერთად ვიყვნეთ წმინდა აზრითა და გრძნობით და თუ ერთმანეთი ვისმე მოეწონება, ცოლქმრობა ერთგული და პატიოსანი ღვთისაგან დაარსებულია.

მე რომ ჩვენ ცხოვრებას ვაკვირდები, ისე გამოდის, რომ ქალი მარტო სატანჯველად არის გაჩენილი. არა თუ თქვენთან გვაქვს დაშლილი მოსვლა და დალაპარაკება, არამედ ერთმანეთშიაც კაი ადგილას გამოსვლა და გამოჩენა არ შეგვიძლიან. რა არის კრება და ერთად საქმის გაკეთება, ჩვენთვის გაუგებარია. ქალებს შეუძლიანთ სიარული მარტო ბაზარში სავაჭროდ ან საამნაირო რამ საქმეზე, უმისოდ კი სახლში არიან ჩამწყდეულნი და ქვეყნისა არაფერი ესმით არც კითხვით, არც გაგონებით და ნახვით. მერე თითონვე დაგვცინიან, გაუნათლებელნი ხართ, ქცევა და სიტყვა-პასუხი არა გაქვთ, მიტან-მოტანაშიაც კი უშნონი ხართო. ჯერ სულ ქალი როგორ დამდაბლებულია და ამ ყოფაში უფრო ბეჩავდება, სუსტდება, გონება ეცლება; ქმრისაგან არა გაქვს პატივისცემა და სხვისაგან. შვილი რომ წამოეზრდება, ისიც ისე ეპყრობა დედას, როგორც მოსამსახურეს, ბრძანებლობს. რაღა დედა იქნება ამას იქით და როგორ შვილს გაზრდის, რა უნდა ასწავლოს? რასაც შვილი კარგს გაიგებს სწავლაში, ის სახლში მოსვლისას გადაუბრუნდება დედასთან. დღეს მუსულმანებშიაც ნასწავლი ბევრი გამოდის, ბრუნდებიან სახლში და ასეთ დაგლახებულ ქალებს რომ ჰხედავენ, ეს რა ხალხიაო, აღარა კადრულობენ და ბევრი განათლებული ქრისტიან ქალს ირთავს. ჯერი კია, თავიანთები ითხოვონ, რომ სწავლა დაეტყოს მუსულმანობას და მუსულმანობაში შეიტანონ შუქი, თორემ ქრისტიანებს რა შემატება უნდათ, ისედაც წინა სდგანან, მუსულმანი ქალები კი ისევ სიბნელეში რჩებიან. რა დააშავეს? ვის არ უნდა კარგი ცხოვრება და ამხანაგი? ორში ერთი უნდა იყოს: ან ჩვენმა ნასწავლებმა უნდა შეირთონ თავიანთებივე, რომ მუსულმანი ქალები მუდამ საბრალონი არ დარჩნენ, ან არა და იმათაც მიეცეთ უფლება ქრისტიანებზე გათხოვდნენ. რჯული და თავისუფლება თუ ერთისთვის არის, მეორისთვისაც უნდა იყოს და თანატოლობა გამოდიოდესო.

მეტი ჩვენი დამცირება უფრო მრავალცოლობაა. მართალია, ჩვენი რჯული ამის ნებას იძლევა, მაგრამ უთუოდ ძალას კი არ ატანს, არც ჩვენი ფეიჰამფერის მაგალითი გვაძლევს უფლებას, რომ აქვს თუ არა აქვს შენახვის თავი, კაცი ადგეს და სამი და ოთხი ცოლი შეირთოს ერთად. ეხლა კი შვრებიან ამას ჩვენში და მერე რა გამოდის: ოჯახური ცხოვრება ტკბილად არ ეწყობა, ერთს რომ ასე უნდა, მეორეს ისე უნდა, ირევიან, ქალს ხასიათი უფუჭდება, კაცს სიყვარული აღარა აქვს ქალზე, ცოლ-ქმრობა არ გამოდის. კაცს უადვილდება, როგორც უნდა, ცოლს ისე მოექცეს და ერთ უბრალო რამეზე სახლიდან დაითხოვოს. ერთნი რომ იქნებიან კი, ხასიათს ადვილად შეუწონებენ, კაცს მეტი სიყვარული და პატივისცემა ექნება ქალისა, მოიშლება თავ-ქეიფობა, —ცოლის სამჯერ დათხოვნა და სამჯერ მიყვანა, რადგან სახლი და შვილები უდედაკაცოდ ვერ დარჩებიან. ქალიც დაარხეინდება თავის ბედზე, საზრუნავი ერთი ექნება თავის ოჯახზე, თავის საკუთარ ქმარ-შვილზე; კარგი გაკეთდება, თუ ცუდი, იმ ერთს მოეკითხება, იგი უმჯობესად ეცდება, თავს დასდებს, თავის გემოზე და ქმრის სურვილზე მოეწყობა, სიამოვნება გამოვა, ცხოვრება დატკბილდება; მომწონს თქვენი ჩვეულება, განათლებულია ქრისტიანთა წესიო.

ასე გვეუბნება ქალი, დაჩაგრული სოციალურ უსამართლობით, მაგრამ მოამაყე თავისი დედობითა. დედობის მიზანი მას წმინდა დაუსახავს და ამ ცხოვრებაში წილსაც საამნაიროს

*) იხ. „დროება" № 38.

...მის განხორციელება, თუმცა ამასთან დაადგინა, ქალაქის სკოლების გამგეებს ...ნობოს დირექტორის მოწერილობა და ...საავალოს, თუ ვინმე მოისურვებს ამ ...ხელოსნო სასწავლებელში სწავლის ...კრძელებას გააცნონ საქმის ვითარება. ამ დღეებში სასკოლო კომისიამ ...მხოოვის სახელობის სტიპენდიაზე დაუნიშნა რეალურ სასწავლებლის მოსწავლეს კუკუჯანოვს. რადგან კუკუჯანოვი მართლ-მადიდებელი აღმოჩნდა, ...ოლო ანდერძით სტიპენდია სომეხ-გრიგორიანს უნდა მიეცეს, კომისიამ სტიპენდია კუკუჯანოვს ჩამოართვა და გადასცა ფირგულიანცს, იმავე შამხაროვის სახელობის სტიპენდიები პეტერბურგის პოლიტეხნიკუმისა და ქალთა უმაღლეს კურსების მოსწავლეთაგან ...ავის დაუნიშნა, რადგან მთხოველი ...ავინ იყო. კომისიამ დაადგინა, აღნიშნულ სასწავლებლების რექტორებს სთხოვოს, დაუსახელონ კანდიდატები.

✦ 15 თებერვალს ტფ. საგანგებო საქმეთა მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე ქალაქის ავთიაქის პროვიზორის კირ. ჯაშვაძისა, რომელსაც ქალაქის სამკურნალოს ხაროფუხის განყოფილების ფარმაცევტი სულაბერიძე ცილის დაწამებას უჩიოდა. როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, ჯაშვაძემ ფარმაცევტ სულაბერიძეს ქურდი უწოდა. გამგეობამ შარშან განიხილა ეს საქმე და სულაბერიძეს დაავალა სჩივარი აღეძრა წინააღმდეგ ჯაშვაძისა ცილის წამებისათვის და ამ გზით აღედგინა თავისი სახელი. გამოჰკითხეს საქმის ვითარება მოწმეებად დაბარებულ სასხიტარო სამკურნალოს ექიმს სტეფანოვს, ექიმ თათეოსიანცს, ...ოგნტიანცს, გამგეობის წევრს ნ. ე. ...არგუთინსკის და სხვებს. საქმის გარჩევამ საღამოს 6 საათამდე გასტანა. განაჩენს ამ საქმის გამო მოსამართლე გამოაცხადებს დღეს, 19 თებერვალს.

✦ ტფ. საბალოსნო საწავლებელს ქალაქის წყალი დაუხარჯავს 900 მან., მაგრამ დღემდე უსახსრობისა გამო ფული ვერ გადაუხდია, სკოლის საპედაგოგიო საბჭოს შუამდგომლობისამებრ სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტილი აქვს სთხოვოს ქალაქის საბჭოს ეპატიოს სკოლას ეს ფული.

✦ 17 თებერვალს პოლიციის მე-6 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს—44, ხოლო მე-7 ნაწილში—17 უპასპორტო კაცი. ამავე დღეს საღამოთი ცეცხლი გაუჩნდა მინგრელსკი პოლკის მე-12 როტის ყაზარმას. დაიბარეს მქრობელი რაზმი, რომელმაც ჩააქრო ცეცხლი. 17 თებერვალს დააპატიმრეს ნიკოლოზ ჟურავლევი, რომელიც საგენერალგუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებულა. ამავე მიზეზით რიყის ქუჩაზე დააპატიმრეს პროფესიონალური ჯიბგირი განჯის მცხოვრები მიხეილ საკოვი. მეჯიდის ქუჩაზე რამალიევის მაღაზიიდან 80 მანეთის ჩაი მოიპარა თელავის მოქალაქეს არტემ მარტიროზოვს. იგი უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს. მოპარული ჩაი მარტიროზოვს ჩამოართვეს და პატრონს დაუბრუნეს.

## მოწერილი ამბები

**ტომსკი.** რადგან ტომსკი საქართველოდან ძალიან შორს არის, ამიტომ აქაურ ორ უმაღლეს სასწავლებელში—უნივერსიტეტსა და სატეხნოლოგიო ინსტიტუტში—ქართველი ახალგაზრდობა, სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებთან შედარებით, ნაკლებად მოდის სასწავლებლად. მეტი ნაწილი, ვინც მოდის, შედის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში, ასე რომ აქაურ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში სულ ტეხნოლოგები არიან, გარდა ხუთიოდე უნივერსანტისა. თვით ჩვენი სათვისტომოც ინსტიტუტშია დაკანონებული პროფესორთა საბჭოს მიერ. წლეულ ახლად გათავებულნი ბლომად მაგვიდნენ; მეტი ნაწილი შევიდა სამთო განყოფილებაზე (ინსტიტუტში ოთხი განყოფილებაა: სამთო, მექანიკური, ქიმიური და სამშენებლო) მთელ ინსტიტუტში ორმოცდა ათამდე ქართველი სტუდენტი ითვლება.

რაც შეეხება სხვა კავკასიელთა წრეებს, აქ არსებობენ სომხებისა და კავკასიელების სათვისტომოები, რომლებთანაც ჩვენ, ქართველები, სოლიდარულად ვცხოვრობთ და ისეთი განხეთქილება არა გვაქვს ერთმანეთში, როგორიც კიევის სტუდენტობაში იყო. კავკასიელთა სათვისტომოში შედიან უფრო რუსები და სხვა ერებიც. ქართველი, სამიოდეს გარდა, არავინ არის. საერთოდ ამ წრეს ცოტა წევრი ჰყავს, კავკასიის დიდ ტერიტორიასთან შედარებით.

აქაურ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს უკანას ნელ წელს სიცოცხლე დაეტყო: წაკითხულ იქმნა სამი რეფერატი: ერთი, „საქართველოს რუსეთთან შეერთება“, მეორე, „სამეურნეო საჭიროებანი კავკასიაში“ და მესამე, „ტომსკის სტუდენტთა ეკონომიურად შეერთება“. თუმცა აქ არ არსებობს ცალკე ქართული სამეცნიერო წრე, მაგრამ ჩვენ სათვისტომოს, მატერიალურ დახმარების გარდა, დასახული აქვს მიზნად საქართველოს ცხოვრების შესწავლა. ტომსკში რეფერატების კითხვა ძნელია, რაკი ჩვენი სტუდენტობა, როგორც ზემოდ ვსთქვი, ტეხნოლოგებისაგან შესდგება, მათ კი თავისუფალი დრო სულ არა აქვთ: თუ სტუდენტი ნორმალურად მუშაობს, მთელი დღე ეკარგება ლაბორატორიებში, სახელოსნოებში და ხაზვა-ხატვაში.

წელს მოულოდნელად გვეწვია მოსკოვში გზად მიმავალი ჩვენი არტისტი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი. ნიჭიერ მსახიობის მოსვლის გამო აქაურმა სათვისტომომ კრება მოახდინა და გადასწყვიტა, მესხიშვილის მეთაურობით პიესის დადგმა თავის ღარიბ კასსის სასარგებლოდ. აირჩიეს სათეატრო კომისია, რომელმაც პატივცემულ არტისტთან მოლაპარაკების შემდეგ, გადასწყვიტა „გაზაფხულის ნიაღვარის“ დადგმა. პიესა დაიდგა ტომსკის სცენაზე, მაგრამ ხალხი ნაკლებად დაესწრო. მიზეზი ხალხის სიმცირისა ის იყო, რომ დანარჩენი არტისტები არ გარგოდნენ.

ბლტაელი.

—

**თელავი.** რამდენიც დრომდ უკეთესდება თელავის ცხოვრებას, იმდენი აშკარა ხდება სამწუხარო მოვლენა—დედა-ენის დავიწყება, აბუჩად აგდება შინ და გარეთ, კერძოდ და საზოგადოდ. რასაკვირველია, არც სასწავლებლებშია იგი პირველ ადგილზე, მაგრამ განა სასწავლებლებზე ხმა ამოგვეღება, როცა ჩვენ სახლში, ენის მხრივ დამოუკიდებელ ოჯახში, სამშობლო ენას, ჩვენგანვე ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული! მეტსაც ვიტყვი: ყველა სცდილობს დედა-ენის დამახინჯებას, ძირის გამოთხრას და შეიძლება ითქვას, დავიწყებასაც. სამშობლო ენაზე ლაპარაკს შეჰხვდებით მხოლოდ დაბალ ხელოსანთა-მოჯამაგირე სახლებში, რომელთაც სხვა ენა არ იციან. სხვაგან ყველგან-კი: ჩვენ ინტელიგენციაში და შეძლებულ ნაწილში ქართულ ენის ხსენება არ არის და თუ ზოგიერთ ოჯახში ადგილი აქვს, ისიც იმისთვის, რომ აქ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელთაც სხვა ენა არ იციან და ალბად გულსაც აკლიათ. მშობელი თავის შვილს სხვა ენაზე ადგმევინებს ენას, ქართული რა საჭიროა, ან სად გამოადგებაო. ამისთვის საგანგებოდ ქქებენ ძიძებსაც. მხოლოდ ბევრიც (ისეთი დედ-მამანიც, რომელთაც არ ეპატიებათ) ორ ენაზე ასწავლიან ლაპარაკს, რითაც ამახინჯებენ პატარას.

ამის შემდეგ გასაკვირველი აღარაა, რომ ყველას ასე აბუჩად გაუხდიათ დედა-ენა. ქართულად ლაპარაკი სადმე საზოგადოებაში სამარცხვინოდ მიაჩნიათ, ქართულად მოლაპარაკეს ცერად უყურებენ და გაუნათლებლად სთვლიან.

ამის შემდეგ თავისთავად ცხადია, რომ ქართული ჟ.-გაზეთები ცოტა მოდის თელავში. განსვენებული მ. დემურია ბევრს ეცადა „ნაკადული“ გაევრცელებინა თელავში, მაგრამ სულ ორიოდე იწერდა ჟურნალს.

პატივი და დიდება ჩვენ მეზობელ სომხებს, რომელთა შორის დედა-ენას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. თუმცა ქართულზე იდგამენ ენას, მაგრამ შემდეგ, ვინც სკოლაში ჰსწავლობს (საკუთარი სკოლა აქვთ), მწირავდ ითვისებს სომხურს და ვარჯიშობენ სკოლის გარდა, შინ და გარედ...

ჩვენ კი, მხოლოდ მაშინ მოგვაგონდება ჩვენი თავი, როცა ცხრა მთას იქიდან მოგვივა ვინმე ჩვენი თვისტომი და ალბად ისიც მისთვის, რომ წუწუნების საბუთი მოგვცეს და ას წლოვან ქანდრის ქვეშ შეგვსვათ კახური და შეზარხოშებულთ დავმღეროთ: „ოდელა დელია, საქართველო ჩვენია“.

დ—ლი.

—

**თონეთი** (ტფ. მაზრა). როგორც თავის დროზე ვწერდით, წერა-კითხვის გამ. საზოგადოებას ჰქონდა თონეთში სკოლა, რომელიც დაიკეტა 1905 წ. სხვა და სხვა მიზეზისა გამო წ.-კით. საზოგადოებამ სკოლა ვეღარ განაახლა. შარშან კიორგობისთვეში იყო ნამესტნიკი, რომელსაც ხალხმა მიმართა თხოვნით გაეხსნათ მათთვის რომელიმე სკოლა. როგორცა სჩანს, თხოვნა შეუწყნარებიათ და პირველ თებერვალს თონეთს ეწვია მასწავლებელი ქალი თავდგირიძისა. ხალხი მაშინვე დაფაცურდა, შეუდგა სკოლის შეკეთებას, თუ აკლდა რამე გაუკეთდეს და 8 თებერვალს შეიკრიბა ურიცხვი ბავშვი თავიანთ მშობლებით. მასწავლებელმა მიმართა ხალხს: „სკოლა იხსნება სამინისტრო, მხოლოდ რა პირობებში, ჯერ მეც არ ვიცი, მივიღე რა მოწერილობა დირექციისაგან, მე მაშინვე დავფაცურდი წამოსასვლელად, რომ თავის დროზე დამეწყო მეცადინეობა მოწაფეებთან. წიგნები და ყველა სამასწავლო ნივთები თქვენ უნდა იყიდოთ. მე დარწმუნებული ვარ, მოწაფეებს ალბად სწავლის ფული გადახდებათ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რამდენი. საერთოდ სკოლის გადასახადი არის თვითეულ მოწაფეზე 2-დან 6 მანეთამდე. მე დღეს უნდა ავღნუსხო იმ მოწაფეების გვარები, რომელთაც შეუძლიანთ სწავლის ფულის გადახდა და ისინიც, ვისაც არ შეუძლიან. ღარიბები უფასოდ იქნებიანო“.

ხალხმა ამაზე უარი განაცხადა: თუ იქნება ისეთი სკოლა, როგორიც წინად იყო, ხომ კარგი, თუ არა არ გვინდაო. შემდეგ ბევრი ითათბირა ხალხმა და სთხოვა მასწავლებელს, შეეკითხოს დირექციას ხალხის მაგიერ, რა პირობებში გახსნეს სკოლა; შემდეგ როცა პასუხს მივიღებთ კიდევ მოვილაპარაკებთო. ხალხს თხოვნაში აღუთქვამს სკოლისათვის შენობა, მასწავლებლის ოთახი, შეშა და მოსამსახურე.

დაიწყო ბავშვების აღწერა 7 წლ.—10 წ., და 10—12 წლამდე. სულ—160-ზე მეტი ბავშვი აღმოჩნდა სასკოლო ჰასაკისა. აქედან 50 ბავშვი იქმნა მიღებული. დანარჩენებმა ტირილი ასტეხეს. თუმცა მასწავლებელი მზად იყო მიეღო იმდენი ბავშვი, რამდენსაც დაიტევდა სკოლის ოთახი, მაგრამ საკმაო ავეჯი არ იყო დამზადებული, თორემ ოთახი 80-ზე მეტს ბავშვს დაიტევს.

კოტე ფასანაურელი.

## თეატრი და ხელოვნება

**ვერის სახალხო აუდიტორია.** ხვალ, 20 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ ვერის სახალხო აუდიტორიაში წარმოდგენილი იქნება დრამა „უბედური ნაბიჯი“ და ვოდევილი „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“.

## ავლაბრის ვითარება

ძველი (ისანი) ავლაბარი

ავლაბარი ეხლა თავ-მიწონებულია. არ აქცევენ ყურადღებას ავლაბარს არც ჩვენი ქალაქის ...მამები ... სხვები ... არ აქცევენ ყურადღებას ამ კუთხეს, რომელიც თითქმის ორმოცი ათას მცხოვრებს შეიცავს, ... ერთული—ქუთაისის ... თვითონ ავლაბრელებსაც მხარ-თეძოზე სძინავთ და არაფერზე არა ზრუნავენ. ასე გასინჯეთ, ამოდენი ხალხი ერთ პატარა სამკითხველოსაც ვერ გასძღოლია.

ასე არ იყო წინად. წინად სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა ავლაბარში და იქ, სადაც დღეს მეტეხის საპყრობილეა, ფრიალებდა დროშა და ყველას სამოქმედოდ იწვევდა. ამ ციხეში, სხვათა შორის, თამარ მეფესაც უცხოვრია.

ბევრი ტანჯვა და შფოთი გამოიარა ავლაბარმა თავის სიცოცხლეში. ეს სიცოცხლე კი ძალიან ხანგრძლივია. როდესაც ვახტანგ გორგასლანმა ტფილისი გააშენა (515 წელს), იგი სამ ნაწილად დაჰყო: ერთს დაარქვა კალოუბანი, მეორეს—ტფილისი და მესამეს—ისანი (ავლაბარი). ტფილისის გაშენების სახსოვრად ვახტანგმა გადასწყვიტა აეგო ხუთი ტაძარი, რომელთა შორისაც იყო მეტეხის ტაძარი (ეხლა საპყრობილე) ავლაბარში.

მეშვიდე საუკუნეში საქართველო არაბებმა დაიპყრეს და ტფილისი თავიანთ ემირების სამფლობელოდ გახადეს. მეთერთმეტე საუკუნეში ტფილისს მმართველობდა ვინმე ჯაფარი. იმის სიკვდილის შემდეგ ტფილისელებმა მოიწვიეს მეფე ბაგრატ მეოთხე. ეს მეფე კალოუბნისა და ტფილისის მცხოვრებლებმა აღტაცებით მიიღეს, სამაგიეროდ არ დამორჩილდნენ ავლაბრელები. ბაგრატს დაეხმარა კახეთის მეფე გაკი თავის ლაშქრით, იგი დაუხვდა ბაგრატს ავლაბრის ველზე და ავლაბრელები დაიმორჩილეს. მეთერთმეტე საუკუნეში განჯის მთავარი ფადლონი 33,000 მეომრით შემოესია ტფილსს და დაბანაკდა ავლაბრის მოედანზე.

ტფილისში მეფის სასახლე ავლაბარში იყო, სადაც ახლა მეტეხის ციხეა, რომელიც გადმოჰყურებდა მთელ ქალაქს. მკვიდრთა სახლები შეფენილი იყო მტკვრის მარცხნივ და მარჯვნივ აღმართებსა და გორაკებზე. ძლიერი ციხის კედელი გადავლებული იყო მეტეხის გორაკისა და მტკვრის გაღმა სოლოლაკის მთის მწვერვალებზე, საიდანაც ჩამოდიოდა ანჩისხატის ეკკლესიამდის და მტკვრამდის.

1226 წ. 9 მაისს ყაენი შემოესია

...ეგბს. ქალი ხუმრობა კი არ არისო: ...იმისგანაა ეს ქვეყანა; მთელი კაცობრიობა იმის მუხლებზე აღზრდილა. რამ ენი ფეიჰამფერია, რამდენი დიდი ჭკუიანი კაცი და ხელმწიფე, ყველა დედის გაჩენილი და აღზრდილია. ასეთი დიდი ადგილი უჭირავს მას. თავის მოვალეობის გამო რა ტანჯვა უნდა გამოიაროს: შვილის ტირილზე ღამე ხუთჯერ უნდა გამოიღვიძოს და ძუძუ მისცეს, ზოგჯერ აკვანზე ჩამოეძინება, დღე მოსვენება არა აქვს, ყველა მას აწუხებს და, სამაგიეროდ, იმდენი პატივისცემა არა აქვთ, რომ ადამიანურად მოგვეპყრნენ და რისამე ღირსად ჩაგვთვალონ. რათა? ჩვენ დედა არა ვართ თქვენი? ქალზე ამდენია დამოკიდებული და მაინც ამბობენ, სწავლა რათ უნდაო. თავის ...რობა გამოდის. შვილი თორმეტ წლამდე დედის მუხლზე იზრდება და რასაც მაშინ ჩაინერგავს იმისგან, საბოლოოდ ის კაცი დადგება. ამასთან ზოგი საქმე ქალს უფრო გაეგება, ზოგჯერ იგი უფრო მარჯვეა და თაოსნიანი. ამიტომ ჩვენ კიდევაც უნდა გვეკითხებოდეს რამ და სწავლაც გვეძლეოდეს. თუ კი კაცი ადის სწავლაში უმაღლესამდე ...თლდება გონებით, იგი არც ქალს აწყენს და უფრო საჭიროა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ანბანით მარტო საამიყო ბარათები არ იწერება. ბევრი რამ დაწერილა კარგი გონების გამხსნელი, და ვისაც იგი უსწავლია, ქვეყნიერება მას ესმის, მან იცის ცხოვრება. ქალსაც რომ მიეცეს იგი, მუქთად არ ჩაინს მიწაში, შთამომავლობას გადასცემს. და რამდენიც უფრო მეცადინება და განათლებული იქნება, იმდენად უმჯობესად წარმართავს, რაც მისი მოვალეობაა და სათხოვარი. ქალს უფრო კარგი გული აქვს, ვიდრე კაცს; გულით არის ქვეყანა. ქალი სწორედ ამ გზით ივლის, კაცი წინ წავა და ქვეყანას ნახევარი ჭირი ჩამოშორდებაო.

ქრისტიანებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ და განცალკევება არ უნდა იყოს, მათი კარგი ავად არ უნდა გვაჩვენონ. თუ რჯულით იქნება განსხვავება, რჯული თავისთვის იყოს გულში შენახული, იგი სინდისის პასუხია თავის ღმერთთან. და მერე მაშინ ქართველთ ბედსაც აღარა უშავს რა! თქვენ წარმატებულნი ხართ განათლებითა და გონება გაქვთ, ჩვენ დაგვეხმარებით, ჩვენ თქვენთან მოვალთ და ვისწავლით, დამშლელი აღარაფერი იქნება, ერთნი ვიქნებით. ეხლა კი ძნელია: ქართული ენა გვიყვარს, ეხლაც კი რომ მოაგონდებათ აქაურებს გურჯისტანი, ცრემლს გადმოაგდებენ ხოლმე, მაგრამ არ ესმით, რჯული და გვარი ვერ გაურჩევიათ, შეკრულნი არიან რჯულითაო.

აი, მეგობარო, სად გამოვიდა ბოლო და რა სანთელი ინთება! ღვთის შიშით განგვაუცხოვეს, ძმები ერთმანეთს შეგვაძულეს. გაღვიძებულმა გონებამ მიზეზი იპოვა სიმრუდისა და სწორე გზაზე გამოვიდა, რადგან ჭეშმარიტი რჯული, ღვთისაგან მომავალი, არის სიყვარული და კაცთა შორის ერთობა, სხვა ყოველი ამის წინააღმდეგ მომდინარეობს, მ. ხანუმის თქმისაებრ, უსწავლელთაგან... და მეც ვიტყვი, ჩვენთაგანაც: სულიერი მოძღრობა ერისა სულის უქონელთ უჭირავთ. სამი-ოთხი საუკუნეა, ჩაგვიქრა კერა, მაგრამ ცეცხლი ნაცარში შენახულა. კარგა დავუფიქრდეთ, ბევრს რასმე ჩავხვდებით იმ სიტყვებით, რომელნიც გამოდიან ქართველ მუსულმან დედის გულიდან. ეს სიტყვები გვიწვევენ სამუშაოდ ჩვენ ძმებთან და ისინიც ჰგზავნიან ჩვენთან წინამორბედს. დედა ვერა სძლებს, ვერ იტანს შვილების დაბნევას, მას უნდა და უყვარს შვილების ერთად ნახვა. ერთხელ აქაც შეისრულა გულის წადილი და მოვიდა ჩვენს კრებაზე თავის ქალიშვილით. მის ქცევას თვით მუსულმანი ქართველები შეჰხვდნენ მოწიწებით და ამბობდნენ: უყურე სხვა დრო გვიდგებაო. მაგრამ გვახსოვდეს კი, როგორც მე ჩემად ეჭვშეუტანლად დავრწმუნდი ამათ ფსიხოლოგიიდან, ამ შვილებში უფროსად ჩვენავართ დასახულნი და, შენ კარგად იცი, სახლში უმცროსი მუდამ ინადს ეწევა და ინახება, უფროსზე აგდებს საქმეს.

როცა ადამიანს ახალი აზრი რწმენად გარდაექცევა, იგი ამას ირჩევს თავის ცხოვრებაში სავალ გზად. ერთობისა და პროგრესის მოტრფიალე მ. ხანუმი ამდგარა და გამოსულა ბათუმის ქართველ საზოგადოებაში, გაურევია შვილებიც. მაგრამ ნათესავები და თანამერჯულენი აულაპარაკდნენ. დამიწყეს, ქრისტიანებთან დახვალ, ქრისტიანი გახდიო. მე ვეუბნები, თუ კი ორშაურიან ჩითისთვის თქვენი ქალები დუქანში მიდიან უშნოდ აწეულ თათრულ კაბებში და მედუქნეს ელაპარაკებიან, უფრო კარგი არ უნდა იყოს, რომ კაი ხალხშიაც გამოვიდნენ და გონიერი სიტყვა გაიგონ, ჭკუა ისწავლონ, განათლდნენ. მედუქნესთან ლაპარაკება, იქ ყავის დალევა, პაპიროზის მოწევა და საათობით დარჩენა შეიძლება და სადაც თავი და თავი ხალხი იკრიბება და ჭკვიანი სიტყვა გაიგონება, იქ წასვლა და მოსმენა კი არაო? მე თუ დავდივარ, ჩემ ძმებთან ერთად დავდივარ საქმისათვის და არა საკიცხავად. მე იმასა ვშვრები, რაც ერთ დროს ყველა მუსულმანმა ქალებმა უნდა ჰქნან და წინ და წინ გზას გიკვეთებთო. ამნაირად მან საქმე თვისი არ მოიშალა, მაგრამ ნათესავებმა არ შეიწყნარეს და განრიცხულებში ჩათვალეს. ჩავარდა ადამიანი განსაცდელში: აქეთ რჯულგადმავლობას აბრალებენ, იქით გული და ცნობიერება სხვას ეუბნება. სატანჯველი დაესკვნა, შედრკა გული, შემოგვტირის: სამი წელიწადია, ამ ჭკუაზე დავდევ; არა ვსთქვა ვერა ვძლებ, ვერ ვიცოცხლებ, ვსთქვა და ასე მრაცხავენ, რაღაა ჩემი ბოლო, არ ვიცი: აღარც მუსულმანებში ვარ და აღარც ქრისტიანებში, მარტო ვარ. მეგობარი ვერა ვნახე, რომ მინდობით ველაპარაკო და ჩემი სათქმელი გავუზიარო. ჩემი მეგობარი და შემწყნარებელი მარტო ისევ მიწა იქნება. იქ ვიპოვი მოსვენებასაო. არა, მ. ხანუმ! შენ პირი ხარ ნათელი მუსულმან ქართველებში და ქრისტიან ქართველებთან ერთი მათთაგანივე გვარით სასურველი და შენც მარტო რათ იქნები, როცა ორივე შტოის ქართველებს გულში ატარებ, შენს გულში იგინი უკვე შეაერთე. არა იმიტომ ხარ ერთთან, რომ პირველი გძულს, ან პირველთან იმიტომა ხარ, რომ მეორე გძულს, არამედ ორივენი ერთნაირად გიყვარან, როგორც ერთის ოჯახის შვილნი. კეთილმა დედამ შვილთა სიყვარულში გარჩევა არ იცის. აწ თუ გარეგნად მარტო ხარ, რა ვუყოთ, ქვეყნის ადათებში ვცხოვრობთ.

თითონ რომ დაბრკოლება განუცდია, მ. ხანუმს მაინც არ აუყრია გული თავის საყვარელ აზრებზე და იმედიანი გზა აერჩია. მე მინდოდა შვილი გამომეყვანა ჩემი ჭკუისა, ნასწავლი, მეჩუქებინა ქვეყნისთვის და მეთქვა: აჰა, მე თუ უსწავლელი ვარ და არა ვიცირა, ეს გამიზრდია სასწავლებელში და იმსახურეთო. მაგრამ ბედი სხვას უმზადებდა. ადრევე ორი ქალიშვილი გამოვგზავნე სტამბოლში სასწავლებლად. ვაჟი უკვე გიმნაზიელი ცამეტი წლისა გამხდარიყო და დები-კი არ ენახა. დედა ამდგარა და წამოსულა სტამბოლში თავის პატარა ვაჟით, რომ და-ძმები ერთმანეთისთვის ეჩვენებინა. აქ ვაჟი ავად გახდომია და ექიმების რჩევით კარის საავადმყოფოში წაუყვანია, უთუოდ მიიღებენო. იქ ფაშა დახვედრია და უარი უთქვამს, ადგილი არ არისო. ჩავარდნია ქალი ფეხთ: ჩემო ბატონო, ჩემი ფეიჰამფერი შენა ხარ, ეს ერთი ვაჟი მყავს, ცამეტი წლის ამხანაგი მიკვდება, მიშველე. ფაშას ლანძღვით შემოუტევია: იქით დაიკარგე, შენთვის აქ ადგილი არა გვაქვსო. მუხლებზე შემოხვეულ ქალისთვის წიხლი მოუკრავს, ფეხი კბილებში მოუხვედრებია. გამოვბრუნდი, მეფარტონემ აღარც შინ წამიყვანა, დარიგებული ყოფილიყოო. ვიწივლე, ვაიმე რა ვქნა, ვინა ხართ ადამიანი მეთქი. ვტიროდი, მაგრამ არავინ მეშველებოდა. გულშემოყრილი ჩასვეს ფაიტონში შვილიანად და ერთ გადაკარგულ საავადმყოფოში გაგზავნეს. შვილი ჩამიართვეს, თითონაც შესვლა მოინდომა, მაგრამ უადგილობის გამო გიჟების ოთახში მოთავსდა, ოღონდ შვილთან ახლო ყოფილიყო. იქ შვილი მოუკვდა და წაიღეს, თითონ უკან მისდევდა და ხელით თავ-პირს იშინჯავდა, სიზმრად არი, თუ ცხადლივაო. შვილი რომ საფლავში ჩაფლული დაინახა, გული წაუვიდა და შიგ ჩავარდა. მერე აღარ ახსოვს, როგორ ამოიყვანეს და მიიყვანეს იმავ საავადმყოფოში. სამ თვეზე ძლივ გამოეგნო. ნათესავებმა აუღეს ბილეთი და სტამბოლში შვილით მოსული ბათუმში უშვილოდ დაბრუნდა. ის იყო ჩემი იმედი, ჩემი ამხანაგი, ჩემი სიცოცხლის ნუგეშიო. ღამე რომ მარტოკას შემეშინდებოდა, იმას გავაღვიძებდი აკვანში და თავს იმით ვირთობდი, იმით ვინუგეშებდი და იმისაგანაც ობლად დავრჩი. ერთი ქალიშვილი აქ გამითურქეს, რა ვიცოდი, თუ ეს უბედურება მომივიდოდა, თორემ აქ რას წამოვიყვანდი? კარგს ველოდი, ავი მიყვეს. შვილი დავკარგე, ჩემი აღარაფერი ესმის, იგი ცოცხლივ სატირელი გამიხდა და ზედ სხვა შვილი დავმარხეო, დაათავა მ. ხანუმმა თავისი მწუხარე ამბავი. თქვენ რომ შეგხვდით, ის ჩემი უბედურების დღე მომაგონდა, იმ ტანჯვაში ქრისტიანი ქართველი ვინატრე, იგი ისე არ გამწირავდაო.

ბევრ სხვა რამის მოწამეა სტამბოლი. მ. ხანუმის თქმით, ქალაქის ძველ ნაწილში მრავალი ქართველობაა, ზოგი ძველად გადმოსახლებულა, ზოგი შემდეგ, ენა დაუვიწყიათ, მაგრამ მეზობლები გურჯებს ეძახიან. მართლა და რა იქნა ძველი ზემო ქართლი სამცხე-საათაბაგო, სავსე ხალხითა და დოვლათით? ნუთუ მთლად ამოსწყვიტეს და მის ნატამლად დარჩა ერთი მუჭა დღეს იქ მოსახლე მუსულმანი და კათოლიკე ქართველობა? მართალია, ბევრი გასწყვიტეს, მაგრამ უფროსი ერთნი მტრის ტალღოთაგან წარზიდულნი მიმოიფანტნენ და ოსმალეთის დაბა-ქალაქები აავსეს, უფრო კი სტამბოლის უბნები. მ. ხანუმმა ასე გააზვიადა: თუ გონს მოეიდნენ აქაური ქართველ-

ტფილისს, დალეწა შენობები და გაჟლიტა მრავალი მცხოვრები; ჩამოაგდო სიონის გუმბათი, ზედ თავისი ტახტი დასდგა და იქიდან დაჰყურებდა ქუჩებში მიმდინარე სისხლის რუებს. ესეც რომ აღარ იკმარა, სიონის ღვთის-მშობლის ხატი პირაღმა დააგდო ავლაბრის ხიდზე და რომელი ქრისტიანიც არ დააფურთხებდა და ფეხით არ გასთელავდა, თავს აგდებინებდა.

ამავე ხანებში მოადგნენ ტფილისს მონგოლნი. ამ გვარ ამბების მნახველი დედოფალი რუსუდანი ქუთაისს წავიდა, ხოლო ქალაქი გოჯა მუხაძეს ჩააბარა და უბრძანა დაწვა მისი, თუ ვინიცობაა მონგოლები ქალაქის აოხრებას დააპირებდნენ, რომ მტერს არაფერი დარჩენოდა და არ დაბინავებულიყო აქ. მუხაძემ სავსებით შეასრულა დედოფლის ბრძანება. რა დარწმუნდა, რომ მონგოლნი მოადგნენ ტფილისს, დაუყოვნებლივ დახიზნა ხალხი მთებში და ტფილისი მთლად გადასწვა, თვით მეფეების სასახლეც კი ავლაბარში.

მეცამეტე საუკუნეში როსტომ მეფემ ხელ-ახლა ააშენა დანგრეულ-დაქცეული ტფილისი. მეტეხსაც შემოავლო მაღალი და მკვიდრი გალავანი ბურჯ-კოშკებით. ანჩისხატისა და სიონის შუა, მტკვრის პირად, ააშენა სასახლე და იქ გადავიდა.

1754 წ. ქარის ლეკები თავს დაესხნენ ავლაბრის ნახირებს და დიდძალი საქონელი გარეკეს. ერეკლე მეფე მსწრაფლ დაედევნა ავაზაკებს, დაეწია, დაამარცხა და დანაკარგი კვლავ დააბრუნა. ამ ბრძოლაში, სხვათა შორის, დიდად ისახელა თავი ქიზიყის მოურავმა თამაზმა, რომელიც მძიმედ დაიჭრა.

1784 წ. მეფე ერეკლე მეორის მეუღლემ დარეჯანმა ავლაბარში ააშენა სასახლის ეკკლესია, დარიის მონასტრად წოდებული, რომელიც 1807 წ. შეისყიდა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ და იქ მოათავსა სემინარია და სასულიერო სასწავლებელი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ტფილისში 2,000 სახლი იყო, ხოლო კერძოდ ავლაბარში 300-ზე მეტი. ქართველთა მეფეებისავე აშენებულია ავლაბარში წმ. მარინეს ეკკლესია. 1824 და 1849 წლებში ეს ეკკლესია განაახლეს.

1804 წ., როცა საქართველოს მთავარ-მართებელი თავადი ციციანოვი დაბრუნდა ერევნიდან, თან მოიყვანა 2,000 სომხის ოჯახი და დაასახლა ავლაბარში. მას აქეთია, რაც სომხები სცხოვრობენ ავლაბარში. ამ დროდანვე იწყება ახალი ხანა ავლაბრის ცხოვრებაში.

**ივანე მჭედელი.**

# უცხოეთი

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისთვის პრუსიაში.**

პრუსიის დემოკრატია, ლიბერალები და ნამეტნავად სოციალ-დემოკრატები თავგამეტებით განაგრძობენ ბრძოლას საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის, მთელ პრუსიაში ყველგან კრებებსა და დემონსტრაციებს ახდენენ და მკაცრ პროტესტს აცხადებენ პრუსიის მთავრობის სასაცილო საარჩევნო კანონ-პროექტის წინაამდეგ. ეს მოძრაობა თავის ძლიერებით და მედგრობით ემსგავსება 1848 წლის რევოლიუციონურ მოძრაობას. ხალხის პროტესტმა უკვე დააფიქრა გერმანიის მთავრობის მომხრე პარტიები: ცენტრი და ნაციონალ-ლიბერალები. ამათ უკვე გამართეს საიდუმლო-მოლაპარაკება: მათ უნდათ იმნაირად შესცვალონ მთავრობის საარჩევნო კანონ-პროექტი, რომ მემარცხენე პარტიებისთვის შესაძლებელი გახდეს მასზე დათანხმებაო.

**უწესოება ფილადელფიაში.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალ. ფილადელფიაში რამდენიმე ხნის წინად გაფიცვა გამოაცხადეს ტრამვაის მოსამსახურეებმა, რადგან ტრამვაის პატრონები არას უთმობდნენ მოსამსახურეებს, ამის გამო გაფიცვა თან და თან ძლიერ გამწვავდა. გაფიცულ მოსამსახურეებს დიდი შეტაკება მოუვიდათ პოლიციასა და მილიციასთან. გაფიცულებმა დასწვეს ტრამვაის 800 ვაგონამდე, რამდენიმე ვაგონი დინამიტით დასწვეს, პოლიციას იარაღის აყრა მოუნოომეს და სხვა. მთავრობამ ჯარი გაგზავნა ფილადელფიაში წესიერების აღსადგენად, მაგრამ ჯარის დანახვამ უარესად გადარია მოსამსახურეები. შეტაკების დროს მოჰკლეს ერთი მუშა, რამდენიმე დასჭრეს, დაიჭირნენ აგრეთვე პოლიციელებიც. ზოგიერთ ადგილას მუშებმა ააშენეს ბარიკადები. ჯარმა თოფი დაუშინა ბარიკადებს და მოჰკლა რამდენიმე ახალგაზდა მუშა, ხოლო როდესაც გაფიცვის ხელმძღვანელი დაატუსაღეს, ფილადელფიის მუშების ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციამ აღკვეთა მუშაობა და გაფიცულ მუშების რიცხვი 120,000 ათასამდე ავიდა. ფილადელფიაში ამ ჟამად 10 ათასამდე ჯარი დგას და განწყობილობა მუშებსა და ჯარს შორის მეტად გამწვავებულია.

# სპარსეთი

**სეპეხდარის სამინისტროს გადადგომა სამსახურიდან.**

ამ დღეებში პირველმა მინისტრმა სეპეხდარმა თხოვნა წარუდგინა შაჰს მთელი თავის სამინისტროს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. მეორე დღეს დილით მინისტრები შეიკრიბნენ რეგენტთან სათათბიროდ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს შეჯლისის ბევრმა წევრმაც. შაჰი და რეგენტი ძლიერა სთხოვენ მინისტრებს, რომ თხოვნა უკან წაიღონ და თავ-თავიანთ თანამდებობაზე დარჩნენ, მაგრამ მინისტრები არა თანხმდებიან.

შინაგან საქმეთა მინისტრს სარდარ-ასადს უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის: რეგენტი და დეპუტატები ძლიერ ეცადნენ, რომ სამინისტრო დარჩენილიყო, მაგრამ ამაოდ. სამსახურიდან გადადგომას მჭიდრო კავშირი როდი აქვს სესხის საქმესთან. მგონია, რომ სპარსეთი ურუსეთ-ინგლისის ფულდ აც წავა იოლად. სპარსეთში რუსეთის ჯარის ყოფნა—აი, უმთავრესი მიზეზი სამინისტროს გადადგომისა. მთავრობამ ყოველი ღონე იღონა, ყოველი საშუალება იხმარა რუსის ჯარის გასაყვანად, მაგრამ ვერას გახდა. რაკი მთავრობამ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, იგი იძულებულია სამსახურიდან გადადგესო. თუ რუსეთი თავის ჯარს არ გაიყვანს სპარსეთიდან და რახიმ-ხანს არ გადმოგვცემს, ეხლანდელი სამინისტრო არავის გულისთვის არ დარჩებაო.

**სესხის საქმე.**

სპარსეთის ხალხი დღემდე ბეჯით პროტესტს აცხადებს გარეშე სესხის წინაამდეგ. მთელ სპარსეთში იმართება კრებები და ხალხი მედგრად მოითხოვს, რომ მთავრობამ არამც და არამც არ აიღოს სესხი რუსეთისა და ინგლისისაგანაო. ისპაჰანიდან, თავრიზიდან და ყაზვინიდან მრავალი დეპეშა მოსდის მთავრობას. ამ დეპეშებში პროტესტია გამოცხადებული რუსეთ-ინგლისის სესხის წინაამდეგ. ასეთივე მინაარსის დეპეშა მოვიდა სტამბოლში მცხოვრებ სპარსელთაგან.

სპარსული გაზ. „ირან ნოვ“ გულმხურვალედ ურჩევს ხალხს: „ცოდნით დააგირავეთ და აღებული ფული სამშობლოს შესწირეთო. სამინისტრომ დემონსტრატიულად უნდა განაცხადოს უარი რუსეთ-ინგლისის სესხზეო“.

**პროტესტი რახიმ-ხანის საქმეზე.**

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუსეთის ელჩს ჩააბარა ახალი საპროტესტო ნოტა რახიმ-ხანის საქმეზე. ნოტაში პროტესტია გამოცხადებული იმის გამო, რომ რუსეთმა ასეთი სტუმართ-მოყვარეობა გაუწია რახიმ-ხანს, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა პოლიტიკასთან. იგი უბრალო ყაჩაღია. როცა რახიმ-ხანი ადერბეიჯანში თარეშობდა, თითონ რუსის ელჩმა გააფრთხილა იგი, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა ზარალს გაზღვევინებთო. მერე, მინისტრს კიდევ მოჰყავს რამდენიმე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ რახიმ-ხანს თითონ რუსებიც უბრალო ყაჩაღად სთვლიდნენ და არა პოლიტიკურ მოღვაწედ, და მოითხოვს, რომ რუსეთმა რახიმ-ხანი დაუყოვნებლივ გადასცეს სპარსეთის მთავრობას.

**ოსმალეთის ჯარის გასვლა სპარსეთიდან.**

სპარსეთის მთავრობის თხოვნით, ოსმალეთის მთავრობამ მთლად გაიყვანა თავისი ჯარი სპარსეთის სამფლობელოდან.

# ოსმალეთი

**რუსეთ-ბოლგარიის შეთანხმება.**

რუსეთის ელჩმა ჩარიკოვმა გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, რომ რუსეთსა და ბოლგარიას ერთმანეთთან არავითარი შეთანხმება არ დაუდვიათ ახლო-აღმოსავლეთის საქმეებზეო. ბოლგარიის მეფეს ფერდინანდს პეტერბურგში ხაზ-გასმით გამოუცხადეს, რომ ოსმალეთის მთლიანობის დაცვა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ვინც ბალკანეთში აწინდელ მდგომარეობას დაარღვევს, პასუხიც თითონვე იმან უნდა აგოსო.

**ოსმალეთ-ბოლგარიის ურთი-ერთობა,**

ოსმალელ და ბოლგარელ ჯარის კაცებს, როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამ დღეებში ახალი შეტაკება მოსვლიათ საზღვარზე. შეტაკებაში ორივე მხრიდან თითო ბატალიონი იღებდა თურმე მონაწილეობას. ამ შეტაკებამ ძლიერ დააფიქრა დიპლომატთა წრეები, მით უმეტეს, რომ ამ მოკლე ხანში ეს მეორედ მოხდა შეტაკება ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე. დიპლომატებს საქმის გამწვავების შიში აქვთ. სტამბოლის ბირჟაზე ძლიერ დაეცა ფასიან ქაღალდების კურსი.

# რუსეთი

✦ **დოკუმენტების შემოწმება.** „რეჩს“ კიევიდან დეპეშით ატყობინებენ: ამ დღეებში ადმინისტრაცია შეამოწმებს კიევის და კიევ-ს გუბერნიაში მცხოვრებ ფარმაცევტების, ფელშრების, ბებია-ქალების და კბილის ექიმე-ის დოკუმენტებს. ეჭვი აქვთ, რომ ბევრ მათგანს ყალბი დოკუმენტები აქვთო.

✦ **ცირკულიარი.** ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სასწავლებლებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია, არამც-და არამც მასწავლებლებმა წარმოდგენებსა და კონცერტებში მონაწილეობა არ მიიღონ, რადგან ამით იგინი თავიანთ პირდაპირ მოვალეობას ვნებას უტანენო. „დამნაშავეებს“, რა თქმა უნდა, დასჯიან.

✦ **რიგის შეერთების 200 წლის იუბილეი.** წრეულს სრულდება 200 წელიწადი, რაც ქალაქი რიგა რუსეთმა შეერთა. განზრახული აქვთ დიდის ამბით იდღესასწაულონ ეს დღე. როგორც „რეჩს“ ატყობინებენ ამის გამო ლატიშებში დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა. მემარჯვენეები და ზომიერები მომხრეები არიან დღესასწაულისა, ლატიშების რადიკალური ნაწილი კი წინაამდეგია დღესასწაულისა. „რა დროს დღესასწაულია, ამბობენ უკანასკნელნი, როდესაც ჯერ კიდევ არ დაგვივიწყნია დამსჯელ ექსპედიციების მოქმედება, მთელი სოფლების გადაწვა-აკლება, როდესაც დედებს ჯერაც არ შეშრობიათ ცრემლები, როდესაც დედები ისევ გლოვობენ დაკარგულ შვილებს და, მთელი ქვეყანა აკლებულია და სასოწარკვეთილებას არის მიცემულიო“. მემარჯვენეებს და ზომიერებს განზრახული აქვთ იუბილეის დღეს გამართონ ლატიშთა ეროვნულ გუნდების შეერთებული კონცერტი. ესეთი კონცერტი ამ 8-10 წლის წინად გაიმართა და კონცერტს ყოველთვის ეროვნული დღესასწაულის ხასიათი აქვს ხოლმე. მომღერალის ზოგიერთმა გუნდებმა უარი განაცხადეს, კონცერტში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, რადგან ეს დღესასწაული ლატიშების დღესასწაული არ არისო. „რა სიმღერები უნდა ვიმღეროთო? კითხულობენ ეს უკანასკნელნი. მემარჯვენეები მაინც თავისას არ იშლიან და დიდ მზადებაში არიან.


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით აუწყებს, რომ მის სადგომში 20 თებერვალს, შუადღის 12 საათისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის სასწორი სომხის ნერსესიან სემინარიის მამულის ეზოში, იარმუკაში.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ქალაქის გამგეობის სადგომში 10-დან 2 საათამდე. (3—6—3)

პატრონის ავადმყოფობის გამო

იყიდება

კარგად მოწყობილი და კარგ ქუჩაზე

**სარგებლიანი რესტორანი**

შეიძლება იჯარითაც გაიცეს. შეიძლება ამხანაგად შესვლაც. მაშინ რესტორანი აღარ გაიყიდება. პირობების შეტყობა შეიძლება დამოვნის ქუჩა, № 4. (1—154—1)

**7 მან. 30 კაპ.**

2 კოსტიუმი კაცისა და ორი ქალისა საკოსტიუმე ნაჭერი, ნახევრად ზამთრის ან საგაზაფხულო, კაცისა და ქალისა, იგზავნება 7 მან. 30 კაპ. (ნიმუშით 85 კაპ. მეტი). ვისაც არ მოეწონება, ფაბრიკა ფულს ... ნაჭერი ... ... ... განისა და 8 ... ... ... ... ... ფოსტის ... ... ჭორცა 16 კაპ. (ფოსტის ტაქსა). მხურვალე იმავე ფასით (7 მან. 30 კაპ.) გაეგზავნება ორი ნაჭერი, კაცისა და ქალისა. ვინც 4-ს ან მეტ ნაჭერს დაიკვეთს იმასჰხრულად უფასოდ გაეგზავნება: კაცის კოსტიუმისთვის ყოველ ნაჭრის სარჩული, ზოლო ქალის კოსტ. ნაჭრისთვის—საზღვარ-გარეთული ტყავის სარტყელი. ადრესი: Лодзь, фабрика «Лодзинскій Экспортъ». (Метцль и К°. N 13635) (5—6.—1)

**ძმ. ავსარქისოვების ბაღი**

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—7)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—53)

**გაზ. „დროების“ კანტორა** აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის მომწერმა კანტორას უნდა აცნობოს ხოლმე, რათა შემდეგისთვის ყურადღება მიექცეს გაზეთების წესიერად მიღებას.

**იაფად იყიდება**

ორთქლით სახერხავი

**ქარხანა**

ველიკოკნიაზის ქუჩ., № 16. დაწვრილებით ცნობების გამგეობა შეიძლება ა. აბოვიანცთან. (3—152—1)

ხელიდან ნუ გაუშვებთ იშვიათ შემთხვევას და

**იყიდეთ 510 ოთხკ. საენი მიწა სახლით**

კახეთის ქუჩაზე, № 68, 10,000 მანეთად. სახლი არსად არ არის დაგირავებული. სახლის წინ გადის ელექტრონის ტრამვაი. მიმართეთ „კავკასიის“ სასტუმროს შვეიცარს ერევნის მოედანზე. (1—153—1)

**მიიღება ხელის მოწერა** ორ-კვირეულ ჟურნალ **ესპერანტოს** ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე განმარტებით

წელიწადი 1 მან. რუსეთში | **„კავკაზიის ესპერანტისტო“** „KAŬKAZA ESPERANTISTO“ | წელიწადი 1 მ. 50 კ. საზღ.-გარ.

— ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა, ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1. მიხეილის პროსპ., № 98 ძ. ჰაჯიევების მაღაზიაში; 2. პუშკინის პასაჟი, ს. სოღომონიანცის ცინკოგრაფიაში; 3. კვირაობით, 11—12 საათ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

სხვა ქალაქებიდან: Тифлисъ, Панасевича ул., № 1. Айку Теръ-Аствацатряну. (3—1)


---

ნი, ნახევარი სტამბოლი თქვენი იქნება, სულ თქვენი ძმები და თქვენი დისწულები არიანო. თქვენი დისწულები! აბა ყური დამიგდე რაშია საქმე: ნებითი თუ უნებლიეთი ემიგრაცია მუსულმან ქართველებისა საკმაო არ გამხდარა გულგაუმაძღართათვის. მოგეხსენება ქება ქართველთა სილამაზისა: თურქებში ანდაზაც კი შემდგარა: სილამაზე გურჯისტანშია, ჭკუაც ფრანგისტანშიო, დაძლეული, დედაბუდიანათ ანგრეული ქართველობა, დაქსაქსული და ეროვნულ თავმოყვარეობა დაკარგული ვიღას რა წინააღმდეგობას გაუწევდა, გაეხსნა ფართო ასპარეზი გულის თქმას, გაიმართა თარეში და ქალების გროვება. არა საშუალება არ ყოფილა დაწუნებული: მოპარვა, მოტაცება, მოტყუება, წართმევა და ზოგჯერ ნებით მიცემა ქალებისა ერთნაირად წარმოებდა. და ეს იყო დიდხანს, თვით უკანასკნელ დროებამდე. მოჰყავდათ და დიდ ოჯახებში არიგებდნენ და მათი ასავალ-დასავალი სამუდამოდ იკარგებოდა. არაფ იყო ჩაგდებული კაცის ტანჯვა და პიროვნების შელახვა. თუ ძნელია სამშობლოს დაკარგვა კაცისათვის, მით უფრო ძნელია ყოვლად უმწეო ქალისთვის

აი, პატარ-პატარა ილლუსტრაციები იმისი, თუ რა გრძნობით ალამებდნენ, სიცოცხლეს უბედურნი არსებანი. მ. ხანუმას რომ ბინა უქებნია, შემთხვევით ერთი ქვრივის სახლი უნახავს და იქ დამდგარა. სახლის პატრონს გაუგია, რომ მდგმური ქართველია და შესულა. შენი ჭირიმე, ჩემო დედავ, ჩემო თვალის სინათლევ, შენ გურჯი ჰყოფილხარო და გადაჰხვევია. თითონ ვინღაა საბრალო? საქართველოდან ყოფილა უნებურად წამოყვანილი პატარაობისას და მას აქეთ აღარც დაუნახავს სამშობლოს ცა და დედმამის თვალები. დედმამის სახელი აღარ ახსოვს, ენა დავიწყებია და ლაპარაკით ატყობს, გვარიც დავიწყებია, იცის მხოლოდ, რომ გურჯია და ამ ნატვრაში დაბერებულა: ერთი გურჯი მაჩვენა, ჩემი გვარის კაცი მანახვაო. ამ მანდილოსნის ქალიშვილი ჩვენც გაგვაცნო. ქალმა ჩვენთან პირი აიხადა მ. ხანუმის დარიგებით, დაღონებული სახისა იყო, შემკრთალი და შეშინებული. შველი რომ ველზე გამოვა საძოვრად და თვალი ისევ ტყისკენ უჭირავს, ისე იდგა ჩვენთან ჩვენგან გაუცხოებული ჩვენი დისწული. ჩვენ ხომ ვუთხარით, თქვენი ძმები ვართო, იმან მადლობა გადაგვიხადა. მაშინ რაღას გვეტყვიან, თუ ნამდვილად დავუმტკიცეთ ძმობა?

მე ჩვენი ხალხის ბედი გამკვირვებია, რომ იგი თითონ გამხდარა თავის მტერი და თავის დანით იჭრის ყელს. ამ წარსაწყმედელ და ერის გამწირავებელ საქმეში თვით ქართველს რევია ხელი და მე ეჭვი მაქვს, დღემდე ხომ არ არსებობს რაიმე ორგანიზაცია ამ სამარცხვინო მიზნისა და პროგრამისა. ჩემმა თანამოსაუბრემ ერთიც სხვა მიამბო ქალთა საცოდაობა. იმ ქართველს წამოუყვანია საქართველოდან მოტყუებით და აქ ერთ დიდ ოჯახში მიუცია, ვითომ მოსამსახურედ, ლამაზი მოზარდი ქალი. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე მხრიდან წამოუყვანია მეორე ქალი და ისიც იქვე მიუცია... მოსამსახურედ, მაგრამ სხვა განყოფილებაში, სახლი დიდი ყოფილა. გავიდა რვა წელიწადი, ქალები დაიზარდნენ, ორივეს ერთად მისცეს საქმე, ერთმანეთს შეხვდნენ. კარგა რომ დაახლოვდნენ, დაუწყეს ერთმანეთს გამოკითხვა. უფროსი ქალი რომ ჰკითხავდა დედ-მამის სახელს, გვარს, სოფელს, გაოცებული რჩებოდა, ყველაფერი ენიშნებოდა. უთხრა: დობილო, მამატივე და ღმერთიც მრისხავდეს, თუ ჩემს დღეში ვისმე მამაკაცს ვუთხრა, სახელი აწიე და მკლავი მაჩვენეო. უმცროსმა თხოვნა აუსრულა, გადიწია მკლავსა და პატარაობისას ცეცხლნამწვარი ნიშანი გამოჩნდა. ჩემი და ჰყოფილხარო, შეჰკივლა მის დანახვაზე მეორე ქალმა და გულშემოყრილი დაეცა ძირს. დღეს ორივენი ერთად არიან უკვე დადედაკაცებულნი და გათხოვებას ეხლა უპირებენ.

აი, ამ გვარ ამბებით არის აჭრელებული ისტორია უბედურის ხალხისა. ალბად ეს დები და ათასი მისთანები სიხარულით გამოგყვებიან უკან გამოსაბრუნებლად. თუ შეველეული ხელი გავუწოდეთ. ქალს, ყველაზედ ძლიერ ენატრება სირცხვილიდან გადარჩენა. მაგრამ თუ ამიერიდან მაინც არ გავძარით გული განრეცხვად ჰუჭყისა ჩვენის ეროვნების გვამიდან, მაშინ გამოჩნდება, რომ მართლა ღირსნი ვყოფილვართ ფურთხისა და ასეთ გაბასვრა-განქიქებისა, ნუ იქნებიან ესე!

ამით ვათავებ ამ წერილს და შემდგომი ამბავიც მალე გეუწყება, აზრი და დასკვნები ჩემის მხრივ მაშინ მოჰყვება. შენი მეგობარი სტამბოლი. **ფარხმან მაძღვარი.**


ტ ა რ უ მ ო ვ ი ს ს ტ ა მ ბ ა ს თ ა ნ

ტფილისში, ბარონსკისა და დიდი ვანქის ქუჩების კუთხეში,

**გაეხსენით ქაღალდ-ტოპრაკების ქარხანა**

ამ ფირმით:

**ამხანაგობა „ზვეზდა“,**

სადაც ვაზადებთ სხვა და სხვა ზომის ტოპრაკებს, როგორც უბრალოებს, ისე ნაკეციანს გარმონის მსგავს, შემკვეთელ ფირმის ბეჭდით ან უბეჭდოთ. მზადდება ელექტრონის მანქანით, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მივიღეთ.

შეკვეთილ საქმეს ვაკეთებთ ხელმისაწვდენ ფასად, სწრაფად, კარგად და სინიდისიერად. ტფილისს გარედ მცხოვრებთ ტოპრაკები გაეგზავნებათ ფასს-დადებებს მიღების შემდეგ.

აქვე მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმე.

ადრესი წერილებისთვის: Тифлисъ, фабрика бумажныхъ мѣшковъ, Т-во „Звѣзда“. ტელეგრამებისთვის: Фабрика „Звѣзда“.

(6—147—2) პატივისცემით **ამ—ბა „ზვეზდა“.**

# გაფრთხილება

რადგან **სპერმინ-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთექრო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს ● **სპერმინ-პელს** ● და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 177994). (8—6.—5)


სტამბა „სინათლე“ რუს-ს ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.